# მე-2 განყოფილება
# კონცეფციები და ძირითადი პრინციპები

# განსახილველი საკითხები



- ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები;
- მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტები;
- საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ელემენტები;
- აღიარების კრიტერიუმები;
- ურთიერთგადაფარვა.

# ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები



- აღქმადობა;
- შესაბამისობა;
- არსებითობა;
- საიმედოობა;

კეთილსინდისიერი ასახვა, შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა, არ შეიცავს არსებით შეცდომას, არ იქნება მიკერძოებული (ნეიტრალური/წინდახედულობა) და სისრულე

- შესადარისობა;
- დროულობა;
- ბალანსი ინფორმაციის სარგებლიანობასა და დანახარჯებს შორის;
- მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა.

# მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა



- განმარტება: დამატებითი დანახარჯი (მაგ. შემფასებლების მომსახურების საზღაური) ან დამატებითი ძალისხმევა (მაგ. დაქირავებულ პირთა მცდელობა) არსებითად აღემატება სარგებელს, რომელსაც ამ ინფორმაციის მიღებით მიიღებენ ის პირები, რომლებიც, სავარაუდოდ, გამოიყენებენ მსს-ის ფინანსურ ანგარიშგებებს;
- დამოკიდებულია საწარმოს კონკრეტულ გარემოებებზე, ასევე ხელმძღვანელობის განსჯასა და გადაწყვეტილებაზე;
- შეფასება უნდა განხორციელდეს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე;
- გამჟღავნება:
  - ✓ განთავისუფლების გამოყენება
  - ✓ მიზეზები, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება მოიცავს მიზანშეუწონელ დანახარჯებს ან ძალისხმევას.

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტები



## აქტივი

- რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს
- წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგი
- მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება

## ვალდებულება

- მიმდინარე პერიოდის ვალდებულება
- წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად
- მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადინება

## საკუთარი კაპიტალი

= აქტივებს - ვალდებულებები

# საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ელემენტები



## შემოსავლები

- აქტივების ზრდა & ვალდებულებების შემცირება
- გამოიხატება საკუთარი კაპიტალის გადიდებით
- დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ განხორციელებულ დამატებით შენატანებთან

## ხარჯები

- აქტივების გასვლა & ვალდებულებების ზრდა
- გამოიხატება საკუთარი კაპიტალის შემცირებით
- დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან

# აღიარების კრიტერიუმები



მუხლის (ელემენტის) აღიარება ხდება, როდესაც:

მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და

- ალბათობები ფასდება ინდივიდუალურად, მაგრამ თუ არსებობს ინდივიდუალურად უმნიშვნელო ელემენტების დიდი ჯგუფი, მაშინ ფასდება ერთობლივად

მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

- გონივრული შეფასების გამოყენება ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი ნაწილია და არ აკნინებს ფინანსური ანგარიშგების საიმედოობას

# ურთიერთგადაფარვა



დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების, ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა, თუ ეს ნათლად არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის მსს ფასს-ით:

- ✓ სავალდებულო ურთიერთგადაფარვის მაგალითი: თუ საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობა არ მოიცავს გრძელვადიანი აქტივების ყიდვა-გაყიდვას, მაშინ მათი გასხვისების შემთხვევაში, საწარმო ამგვარი აქტივების გასხვისებასთან დაკავშირებულ შემოსულობას (ან ზარალს) წარადგენს ნეტო საფუძველზე;
- ✓ ურთიერთგადაფარვა არ არის აქტივების შეფასება შეფასებითი ხასიათის შესწორებებით (მაგ. უიმედო მოთხოვნებისთვის  საეჭვო ვალების ანარიცხები). აღნიშნული არ წარმოადგენს ურთიერთგადაფარვას, რადგან არ არსებობს აქტივის საწინააღმდეგოდ გადაფარული ვალდებულება.